

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

28.12.2017 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, „სპორტის განვითარების ცენტრი“, „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“, „კეთილმოწყობის ცენტრი“, „აკ.წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ და „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106¹ მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 დეკემბრის №02/724 წინადადების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, „სპორტის განვითარების ცენტრი“, „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“, „კეთილმოწყობის ცენტრი“, „აკ. წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ და „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ დაფუძნების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, „სპორტის განვითარების ცენტრი“, „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“, „კეთილმოწყობის ცენტრი“, „აკ.წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ და „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ დამფუძნებლის უფლებამოსილება განახორციელოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ.

3. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია